



**FRIEDRICH NAUMANN
FOUNDATION** For Freedom.
South Caucasus

**ადგილობრივი სადამკვირვებლო მისიის ორგანიზების და
არჩევნების შედეგების შეფასების
გაიდლაინი**

**რეფორმებისა და კვლევის ჯგუფი
თბილისი
2024**

ადგილობრივი სადამკვირვებლო მისიის ორგანიზების
და არჩევნების შედეგების შეფასების
გაიდლაინი

რეფორმებისა და კვლევის ჯგუფი

თბილისი

2024

ავტორები:

ქეთევან სიხარულიძე

გულად ქანთარია

„ადგილობრივი სადამკვირვებლო მისიის ორგანიზების და არჩევნების შედეგების შეფასების გაიდლაინის“ მომზადება შესაძლებელი გახდა ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი სამხრეთ კავკასიაში თავისუფლებისთვის ფინანსური მხარდაჭერით.

დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს რეფორმებისა და კვლევის ჯგუფის პოზიციას.

სარჩევი

საარჩევნო რეფორმის კონტექსტი	1
სადამკვირვებლო მისიის ზოგადი პრინციპები	2
სადამკვირვებლო მისიის რეგისტრაცია და სამართლებრივი საკითხები.....	5
საარჩევნო პროცესზე დაკვირვება.....	8
საარჩევნო კამპანია და სადამკვირვებლო მისიის ფუნქცია	8
სადამკვირვებლო მისიის ორგანიზება.....	9
დამკვირვებლის როლი კენჭისყრის დღეს	11
საარჩევნო დავები და სამართლებრივი რეაგირება	13
კენჭისყრის დღის პროცედურები	14
კენჭისყრის დღე და არჩევნების შედეგების შეფასება.....	18

საარჩევნო რეფორმის კონტექსტი

2024 წლის საპარლამენტო არჩევნები ტექნიკური და პროცედურული განსხვავებებით გამოირჩევა 2020 წლის საპარლამენტო და 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისგან. განსხვავება მდგომარეობას ელექტრონული ტექნოლოგიებით არჩევნების ჩატარებაში. აღსანიშნავია, რომ ეს არის არჩევნებზე ტექნოლოგიების გამოყენების ერთ-ერთი მასშტაბური პილოტი, რომელიც არამხოლოდ ტექნოლოგიების დანერგვას მოიცავს კენჭისყრის დღის პროცედურებში, არამედ ითვალისწინებს ამომრჩევლის ქცევის ცვლილებას.

2022 წლის 22 დეკემბერს საარჩევნო კოდექსში განხორციელდა ცვლილებები, რომლის მიხედვითაც 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ამომრჩეველთა არანაკლებ 70% ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ხმის მიცემას ითვალისწინებდა. 2023 წლის 6 თებერვალს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩასატარებელი არჩევნების მასშტაბი ამომრჩევლების 89.9%-მდე გაზარდა.

აღნიშნულ საარჩევნო რეფორმას წინ უძღოდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ბარიერგადალახული პოლიტიკური პარტიების საპარლამენტო ბოიკოტი. 2020 წლის 19 აპრილს პარტიებს შორის გაფორმდა შეთანხმება, რომელიც „შარლ მიშელის შეთანხმების“ სახელით არის ცნობილი. შეთანხმების ერთ-ერთი ძირითადი პუნქტი იყო საქართველოში არსებული პოლიტიკური პოლარიზაციის დასრულება.

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე ბოიკოტში მყოფმა ოპოზიციურმა პარტიებმა სხვადასხვა დროს დაიწყეს საპარლამენტო ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება, თუმცა პოლიტიკური პოლარიზაცია ამით არ მოგვარებულა.

ტექნოლოგიების დანერგვა დაიწყო 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე. ტექნოლოგიების გამოყენებით პირველი პილოტი ჩატარდა კრწანისის ოლქში. შემდეგ ტექნოლოგიების გამოყენება მოხდა ყველა შუალედურ არჩევნებზე. ამავდროულად, 2021 წლის არჩევნები იყო პირველი არჩევნები, სადაც გამოყენებული იყო ვიდეოფიქსაცია ხმის დათვლის პროცესში.

სადამკვირვებლო მისიის ზოგადი პრინციპები

სახელმწიფოში დემოკრატიის ხარისხის ერთ-ერთი განმსაზღვრელი კომპონენტი სამართლიანი არჩევნებია. სამართლიანი არჩევნების ჩატარებას სახელმწიფო ინსტიტუტებთან ერთად შიდა და გარე სადამკვირვებლო მისიების არსებობა უზრუნველყოფს. სადამკვირვებლო მისია აფასებს, არა მხოლოდ კენჭისყრის დღეს, არამედ წინასაარჩევნო და პოსტსაარჩევნო პერიოდს. საარჩევნო კოდექსის მიხედვით, არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაზე პასუხისმგებელია ცენტრალური საარჩევნო კომისია, მოცემულ პროცესში დამკვირვებლების ფუნქციები დაკვირვებისა და შეფასებისა გარდა, მოიცავს ხმის დაცვას და კენჭისყრის დღეს დარღვევების საჩივრების სახით აღრიცხვას.

კენჭისყრის დღემდე სადამკვირვებლო მისიის ფუნქციები შეგვიძლია ორ ნაწილად დავყოთ. პირველი და მნიშვნელოვანი ფუნქცია საარჩევნო გარემოს შეფასებაა. წინასაარჩევნო პერიოდში, გრძელვადიანი დამკვირვებლების მიერ შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე მიზანშეწონილია, მისიამ მოამზადოს შუალედური ანგარიშები, რომელიც ნათლად აღწერს და აფასებს პროცესებს. დოკუმენტებსა და ანგარიშებში გაანალიზებული უნდა იყოს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ, მიმდინარე მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესები, რომლებიც ირიბად თუ პირდაპირ ზემოქმედებს საარჩევნო პროცესზე.

წინასაარჩევნო პერიოდში მისია შეისწავლის იმ საკითხებს, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კენჭისყრის დღეზე. შესაასწავლი საკითხები შეიძლება მოიცავდეს ფინანსების მიმართულებას, მედიების მონიტორინგს, საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობას და სხვა საკითხებს. ფინანსების კუთხით, საყურადღებოა, პოლიტიკური პარტიების შემოწირულებები, დონაციების წარმომავლობა, კანონით გათვალისწინებულ ნორმებთან შესაბამისობა. მნიშვნელოვანია შესწავლილი იქნას, ინფორმაციის გავრცელების მასობრივი საშუალებები, როგორებიცაა ტელევიზია და ონლაინ მედია, იმისთვის რომ დადგინდეს, რამდენად უწყობს ხელს თითოეული მათგანი წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური სუბიექტების თანაბარ გარემოში ყოფნას, ინფორმაციის ნეიტრალურად და მიუკერძოებლად გაშუქებას, საზოგადოების ობიექტურად ინფორმირებას. არჩევნების ორგანიზება ევალება შესაბამის ორგანოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. სამართლიანი არჩევნების ჩატარებაზე პასუხისმგებელი არიან საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დანიშნული პირები. შესაბამისად გადაწყვეტი მნიშვნელობისაა დადგინდეს კანონის დაცვით ხორციელდება თუ არა სხვადასხვა დონის კომისიის დაკომპლექტების პროცესი.

კენჭისყრის დღემდე და მის შემდგომ პერიოდში პრიორიტეტულია, არსებული სამართალდარღვევების იდენტიფიცირება, გამოკვლევა და შეფასება, მათ შორის საყურადღებო ფაქტებია: ამომრჩეველთა იძულება, ამომრჩეველთა მოსყიდვა, პოლიტიკური პარტიების ქონების ხელყოფა, ძალადობა, უკანონო ავტაცია, პერსონალური მონაცემების უკანონოდ გამოყენება - დამუშავება, ადმინისტრაციული (საჯარო სამსახურების) რესურსის გამოყენება, ზეწოლა, მუქარა, დაშინება, პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დაპატიმრება. დარღვევების რაოდენობისა და შინაარსის ანალიზი, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს არჩევნების სრულად შეფასების პროცესსა და ლეგიტიმაციის განსაზღვრაში.

დოკუმენტებისა და ანგარიშების მომზადების გარდა, შესაძლოა სადამკვირვებლო მისიამ შეასრულოს ამომრჩევლის ცნობიერების ამაღლების კამპანია. ინფორმირების კამპანია შესაძლოა მოიცავდეს რამდენიმე მიმართულებას, მათ შორის პოლიტიკურ პროცესებში

ჩართულობისა და მონაწილეობის ზრდის ხელშეწყობას. სახელმწიფოები, რომლებშიც დემოკრატია განვითარების პროცესშია, არსებობს ტოტალიტარული და ავტოკრატიული რეჟიმების გამოცდილება, კენჭისყრის დღე ამომრჩევლთა დაბალი აქტივობით ხასიათდება. მოქალაქეების დიდ ნაწილს არ აქვს რწმენა იმისა, რომ მათ ხმას რეალური ცვლილების მოტანა შეუძლია. ამომრჩევლის ინფორმირება აუცილებელია მაშინ, როდესაც იცვლება არჩევნების მოდელი და სტრუქტურა, მათ შორის პროცედურები კენჭისყრის დღეს და ამომრჩევლის ქცევა. ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და პოლიტიკური პარტიების საინფორმაციო კამპანიის გარდა, სადამკვირვებლო მისიების მიერ ჩატარებული საინფორმაციო ხასიათის აქტივობები მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საზოგადოების ფართო მასებს მიეწოდოს საჭირო ინფორმაცია კენჭისყრის დღესთან დაკავშირებით. ნეიტრალური, მიუკერძოებელი სადამკვირვებლო მისია შესაძლოა მეტი სანდოობით სარგებლობდეს საზოგადოებაში, ვიდრე სახელმწიფო ინსტიტუტები და პოლიტიკური სუბიექტები. სადამკვირვებლო მისიების მიერ არჩევნების ძირითადი პრინციპების დაცვა განაპირობებს, როგორც მისიის ეფექტიანობას, ასევე საზოგადოების მხრიდან, მისიის მიმართ მაღალ ნდობას და რეპუტაციას.

დამკვირვებლებმა კარგად უნდა იცოდნენ საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული პროცედურები, რაც, თავის მხრივ, დამკვირვებლებისთვის ნათელს ხდის მოქმედების სივრცეს, თუ რა შესაძლებლობები და ბერკეტებია მათ ხელში საარჩევნო პროცესში. საქართველოში მოქმედი გრძელვადიანი, თუ მოკლე ვადიანი მისიები საქმიანობის ეფექტურად წარმართვისთვის უნდა ხელმძღვანელობდნენ საქართველოს ორგანული კანონით - საქართველოს საარჩევნო კოდექსით. საარჩევნო კოდექსი არეგულირებს არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებს, პროცედურებს, მკაცრად განსაზღვრავს სუბიექტების, ინსტიტუტების, ორგანიზაციების უფლებებსა და ვალდებულებებს.

სადამკვირვებლო მისიები უნდა ხელმძღვანელობდნენ შემდეგი პრინციპების დაცვით. მისია უნდა იყოს ნეიტრალური, არ უნდა იყოს დაკავშირებული არც ერთ პოლიტიკურ პარტიასთან, კენჭისყრის დღემდე და შემდგომ პერიოდში არ უნდა ეწეოდეს პოლიტიკური სუბიექტების სასარგებლო ან საწინააღმდეგო აგიტაციას, მიუკერძოებლად უნდა აფასებდეს საარჩევნო გარემოს, როგორც მმართველ პარტიას ასევე ოპოზიციურ პოლიტიკურ სუბიექტებს. მისიის მიერ გაკეთებული შეფასებები, როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, კენჭისყრის დღეს და შემდგომ, უნდა ეფუძნებოდეს ზუსტ მონაცემებს, რეალურ ფაქტებს, სადამკვირვებლო მისია არ უნდა აფიქსირებდეს პირად შეფასებებს. სადამკვირვებლო მისიამ თავი უნდა შეიკავოს ნაჩქარევი დასკვნებისგან, დაუზუსტებელი ინფორმაციის გავრცელებისგან. რაც ზიანს აყენებს, როგორც არჩევნების პროცესს ასევე სადამკვირვებლო მისიის რეპუტაციას. მისიის მიერ მომზადებული ანგარიშები უნდა იყოს ზუსტი და დეტალური.

მოქმედი საარჩევნო კომისიების წევრებისგან განსხვავებით, დამკვირვებლები აქტიურად არ მონაწილეობენ საარჩევნო პროცესის ორგანიზებასა და წარმართვაში, მათთვის პროცესზე გავლენის მოხდენის მექანიზმი საჩივრების სახით დარღვევების აღრიცხვაა. არჩევნების ლეგიტიმაცია ცესკოსა და მმართველი პარტიის მიერ, არჩევნების ორგანიზებასა და, სამართლიანი და თავისუფალი გარემოს უზრუნველყოფაზეა დამოკიდებული. მნიშვნელოვანია, მისიების მიერ ჩატარებული მონიტორინგი და დაკვირვება, რომელიც სამართლებრივი რეაგირების მექანიზმია. პოლიტიკური პარტიების მხრიდან შესაძლო მანიპულაციების, უკანონო ჩარევის, დარღვევების ამსახველი ფაქტების გამოვლენამ და დამკვირვებლების მიერ მოპოვებულმა მტკიცებულებებმა, შესაძლოა გადაწყვიტოს არჩევნების საბოლოო შედეგების ბედი და ლეგიტიმაცია. სადამკვირვებლო მისია

წარმოადგენს და იცავს საზოგადოების ინტერესს. სადამკვირვებლო მისიების მიერ გაწეული შრომა, შექმნილი ანგარიშები, შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც დაფუძნებულია არჩევნების ძირითად პრინციპებსა და კანონმდებლობაზე, ხელს უნდა უწყობდეს ყოველი შემდეგი არჩევნების სამართლიან და გამჭვირვალე გარემოში ჩატარებას, რაზეც პასუხისმგებელი ქვეყნის ხელისუფლებაა.

საუბნო საარჩევნო კომისიები 17 წევრისგან შედგება. კომისიის 9 წარმომადგენელს პოლიტიკური პარტიები ნიშნავენ. ხოლო 8 წევრს საარჩევნო ადმინისტრაცია. მათ შორის არიან, საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ დანიშნული, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის მდივანი. პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისა და საოლქო საარჩევნო კომისიის არჩეული წევრებისგან განსხვავებით, საქართველოს ორგანული კანონი დამკვირვებლებს პროცესზე მეთვალყურეობის ფუნქციას ანიჭებს, ამავდროულად დამკვირვებლებს უფლებას აძლევს ყველა დარღვევა აღრიცხოს საჩივრების მეშვეობით.

დამკვირვებლებს საარჩევნო უბანზე უფლება არ აქვთ ჩაერიონ კომისიის საქმიანობასა და ფუნქციებში. მათ შორისაა გადამწყვეტი მნიშვნელობის პროცედურა- ხმების დათვლა. საარჩევნო კოდექსის მიხედვით, ხმების დათვლის პროცესს ახორციელებს ოთხი მთვლელი, ოთხი მთვლელიდან არცერთია დამკვირვებელი, სადამკვირვებლო მისიებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მხოლოდ ორი მეთვალყურის გამოყოფა. ერთი მხრივ მოქმედების შეზღუდული არეალი განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს დამკვირვებლებს კენჭისყრის დღეს.

განსხვავებით ქვეყნის გარეთ მოქმედი საერთაშორისო მისიებისა, ადგილობრივ სადამკვირვებლო მისიებს აქვთ შესაძლებლობა ერთი დამკვირვებელი მაინც ჰყავდეთ თითოეულ საარჩევნო უბანზე, მაშინ, როცა საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია უმეტესწილად მცირე დროით ახერხებს სხვადასხვა უბნის მონიტორინგს. საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის უპირატესობა სხვა ფაქტორებთან ერთად საარჩევნო უბანზე ვიზიტის მოულოდნელი ხასიათითა განპირობებული, რაც ხელს უწყობს ობიექტური სურათის დანახვას, კომისია ვერ ახერხებს შესაძლო დარღვევების დაფარვას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

არჩევნების ლეგიტიმაციის დადგენასა და შეფასებაში არსებითად მნიშვნელოვანია, ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების კოორდინირებული და აქტიური თანამშრომლობა. თავის მხრივ, ლოგიკურია, რომ ქვეყნის შიგნით მოქმედ სადამკვირვებლო მისიას მეტი ინფორმაცია აქვს სახელმწიფოში მიმდინარე პროცესების შესახებ, კარგად იცნობს გარემოს, აცნობიერებს საფრთხეებს და დროულად იმუშავებს პრევენციის გზებს, ასევე კენჭისყრის დღეს უმარტივდება დაკვირვების პროცესი, რადგან არ აქვს ენის ცოდნის ბარიერი და არ საჭიროებს თარჯიმნებს.

კენჭისყრის დღემდე და შემდგომ პერიოდში სადამკვირვებლო მისიის ეფექტურად მუშაობა განაპირობებს მოსალოდნელი საფრთხეების და დარღვევების პრევენციას.

სადამკვირვებლო მისიის რეგისტრაცია და სამართლებრივი საკითხები

➤ ვის შეუძლია სადამკვირვებლო მისიის შექმნა

არჩევნების ადგილობრივი დამკვირვებელი შეიძლება გახდეს არასამეწარმეო იურიდიული პირი, რომელიც კენჭისყრის დღემდე ერთი წლით ადრე მაინც არის დაფუძნებული და რეგისტრირებული. რეგისტრაციაში გატარების დროს აუცილებელია, იურიდიული პირის წესდებასა თუ სხვა სადამფუძნებლო დოკუმენტში ორგანიზაციის სამუშაო მიმართულებად განსაზღვრული იყოს არჩევნების მონიტორინგი ან ადამიანის უფლებათა დაცვა.

➤ ვინ და რა შემთხვევაში არეგისტრირებს სადამკვირვებლო ორგანიზაციას

ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას, რომელსაც დაკვირვება სურს ერთზე მეტ საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში ატარებს ცესკო, თუ ორგანიზაცია მხოლოდ ერთ საარჩევნო ოლქს აკვირდება, მაშინ შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.

➤ რეგისტრაცია და ვადები

ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციამ შესაბამის საარჩევნო კომისიას რეგისტრაციაში გატარების მიზნით განცხადებით უნდა მიმართოს კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-10 დღისა. ორგანიზაციამ აუცილებლად უნდა წარადგინოს მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეგისტრიდან ამონაწერი, რომელიც გაცემულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ განცხადების წარდგენამდე ბოლო 10 დღის ვადაში, ამონაწერში მითითებული უნდა იყოს ორგანიზაციის ხელმძღვანელი და უფლებამოსილი პირები. განცხადებაში დასახელებული უნდა იყოს ის საარჩევნო ოლქები, რომელშიც დაკვირვება სურს ორგანიზაციას.

საარჩევნო კომისიას ორგანიზაციის რეგისტრირებასა თუ განცხადებაზე უარის თქმისთვის აქვს 5 დღე. რეგისტრაციის შემდეგ, კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-5 დღისა, სადამკვირვებლო ორგანიზაციამ შესაბამის საარჩევნო კომისიის მდივანს უნდა წარუდგინოს დამკვირვებლების რეგისტრაციის განცხადება. დამკვირვებლის გვარის, სახელის, რეგისტრაციის ადგილის, საქართველოს მოქალაქის პირადი ნომრის მითითებით და პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლებით. დამკვირვებლების რეგისტრაცია შესაძლებელია ელექტრონული პლატფორმის მეშვეობითაც. სიის წარდგენიდან არაუგვიანეს მე-2 დღისა, დამკვირვებლებს გადაეცემათ დამკვირვებლის მოწმობა იგივე სამკერდე ნიშანი.

ერთ ორგანიზაციას უფლება აქვს საარჩევნო უბანზე ჰყავდეს მხოლოდ ერთი დამკვირვებელი.

➤ ვინ შეიძლება იყოს ადგილობრივი დამკვირვებელი

ადგილობრივი დამკვირვებელი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 18 წლის ასაკიდან, გარდა:

- ❖ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირისა.
- ❖ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრისა.
- ❖ მუნიციპალიტეტის მერისა და მისი მოადგილისა.
- ❖ მოსამართლისა.

- ❖ საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებისა.
- ❖ პროკურატურის თანამდებობის პირისა.
- ❖ საარჩევნო სუბიექტისა და მისი წარმომადგენლისა.
- ❖ საარჩევნო კომისიის წევრისა.
- ❖ სხვა დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებლისა.
- ❖ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლისა.
 - *ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის დამკვირვებელი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც:*
- ❖ ბოლოს ჩატარებული შუალედური ან საერთო არჩევნების დროს იყო პარტიის მიერ დანიშნული საარჩევნო კომისიის წევრი, საარჩევნო სუბიექტი ან საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი.
- ❖ ბოლოს ჩატარებული საერთო ან შუალედური არჩევნების წლის დასაწყისიდან იყო რომელიმე პარტიის შემომწირველი.
 - *რისი უფლება აქვს ადგილობრივ დამკვირვებელს*
- ❖ დამკვირვებელს უფლება დააკვირდეს საარჩევნო პროცესის მიმდინარეობას - კენჭისყრის დღეს, კენჭისყრის დღემდე პერიოდს, კენჭისყრის დღის შემდგომ პერიოდს;
- ❖ დაესწროს და დააკვირდეს საარჩევნო კომისიის სხდომებს;
- ❖ კენჭისყრის დღეს ნებისმიერ დროს იმყოფებოდეს კენჭისყრის შენობაში, შეუზღუდავად გადაადგილდეს საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და თავისუფლად, დაუბრკოლებლად დააკვირდეს კენჭისყრის პროცესის ყველა ეტაპს ნებისმიერი ადგილიდან;
- ❖ კენჭისყრის დღის ნებისმიერ დროს ჩაენაცვლოს მისი წარმდგენი ორგანიზაციის მიერ რეგისტრირებული სხვა დამკვირვებელი.
- ❖ მონაწილეობა მიიღოს საარჩევნო ყუთების შემოწმებაში მათ დალუქვამდე და მათი გახსნის შემდეგ.
- ❖ დააკვირდეს ამომრჩეველთა სიებში ამომრჩეველთა რეგისტრაციას, საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური ჩარჩო-კონვერტების გაცემას და მათ დამოწმებას.
- ❖ დააკვირდეს კენჭისყრის დღეს საჩივრების რეგისტრაციის პროცესს.
- ❖ დაესწროს ამომრჩეველთა ხმების დათვლისა და შედეგების შეჯამების პროცედურებს.
- ❖ დააკვირდეს გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემას.

- ❖ დააკვირდეს ამომრჩეველთა ხმების დათვლას, იმ დისტანციიდან, საიდანაც შეძლებს ბიულეტენის ნათლად დანახვას.
- ❖ დააკვირდეს საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმისა და სხვა დოკუმენტების შედგენას;
- ❖ განცხადებით (საჩივრით) მიმართოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ხმის მიცემისა და კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომლითაც კონკრეტული დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში მოითხოვს რეაგირებას.
- ❖ მოსთხოვოს ამომრჩეველს, უჩვენოს, რამდენი საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური კონვერტი/ჩარჩო-კონვერტი აქვს ხელში.
- ❖ გაასაჩივროს საარჩევნო კომისიის ქმედება.
- ❖ დააკვირდეს საარჩევნო ყუთს, საარჩევნო ყუთში სპეციალური კონვერტების ჩაყრას/ხმის მთვლელ სპეციალურ ელექტრონულ აპარატში ჩარჩო-კონვერტის საშუალებით ბიულეტენის მოთავსებას, საარჩევნო ყუთების გახსნას, საარჩევნო ბიულეტენების დათვლას და ოქმების შედგენას.
- ❖ გაეცნოს საარჩევნო კომისიების მიერ შედგენილ კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებს, შესაბამისი საარჩევნო კომისიისგან მოითხოვოს და მიიღოს ამ ოქმების ასლები.
 - **დამკვირვებელს არ აქვს უფლება:**
- ❖ ჩაერიოს საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში;
- ❖ გავლენა მოახდინოს ამომრჩეველთა მიერ ნების თავისუფალ გამოვლენაზე.
- ❖ აგიტაცია გაწიოს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ.
- ❖ ატაროს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სიმბოლიკა და სამკერდე ნიშანი.
- ❖ კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში იმყოფებოდეს სამკერდე ნიშნის გარეშე.
- ❖ დაარღვიოს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ სხვა მოთხოვნები.

საარჩევნო პროცესზე დაკვირვება

წინასაარჩევნო პერიოდსა და არჩევნების კენჭისყრის დღეს სადამკვირვებლო მისიების არსებობა წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების განუყოფელ ნაწილს. სადამკვირვებლო მისიის ორგანიზება და საარჩევნო პროცესზე დაკვირვება ხელს უწყობს არჩევნების სამართლიან და კონკურენტულ გარემოში ჩატარებას. ხელს უშლის ხელისუფლების მიერ მანიპულაციებს და საარჩევნო პროცესზე ზეგავლენას.

წინასაარჩევნო პერიოდის და კენჭისყრის დღის დაკვირვება ერთმანეთისგან არსებითად განსხვავებული მოდელებია, რასაც შესაბამისად სჭირდება ეფექტიანად ორგანიზებული და სტრუქტურულად გამართული სადამკვირვებლო ორგანიზაციის/მისიის არსებობა, რომელიც მისი მანდატის ფარგლებში ჩართულობით ხელს შეუწყობს საარჩევნო გარემოს გაჯანსაღებას.

წინასაარჩევნო და არჩევნების კენჭისყრის დღე ქართული არჩევნების ისტორიის გათვალისწინებით ხასიათდება მაღალი პოლიტიკური პოლარიზაციით და დაპირისპირებით საზოგადოებას და პოლიტიკურ ჯგუფებს შორის. სწორედ, სადამკვირვებლო მისიის მანდატი და უფლებამოსილება უზრუნველყოფს თითოეული ფაქტის გამოვლენას, რომელიც ნეგატიურ გავლენას ახდენს საარჩევნო პროცესზე. ამავდროულად, სადამკვირვებლო მისიის იდენტიფიცირებულ ფაქტებზე უნდა მოხდეს შემდგომი რეაგირება დარღვევების პრევენციის მიზნით.

საარჩევნო კამპანია და სადამკვირვებლო მისიის ფუნქცია

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 108-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები ტარდება საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბრის ბოლო შაბათს. საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნების დღემდე 60 დღით ადრე. საქართველოს პრეზიდენტის მიერ განკარგულების გამოცემის დღიდან ოფიციალურად იწყება წინასაარჩევნო პერიოდი, რაც სადამკვირვებლო მისიებს შესაძლებლობას აძლევს დააკვირდნენ საარჩევნო გარემოს მიმდინარეობას. თუმცა პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით, წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგი სადამკვირვებლო მისიებმა შესაძლოა დაიწყონ უფრო ადრე ვიდრე, პრეზიდენტის მიერ მოხდება არჩევნების თარიღის განსაზღვრა შესაბამისი სამართლებრივი აქტით.

სადამკვირვებლო მისიები განსხვავდებიან არჩევნებზე დაკვირვების მოდელების მიხედვით. სადამკვირვებლო ორგანიზაციები დამოუკიდებლად წყვეტენ დააკვირდნენ მხოლოდ კენჭისყრის დღის პროცედურებს თუ წინასაარჩევნო პერიოდსაც. შესაძლებელია მისიის მასშტაბის და მიზნების გათვალისწინებით ორგანიზაციებმა გადაწყვიტონ წინასაარჩევნო პერიოდზე დაკვირვება გრძელვადიანი დამკვირვებლების მეშვეობით და ამავდროულად ჰყავდეთ მოკლევადიანი (კენჭისყრის დღის) დამკვირვებლები.

წინასაარჩევნო პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გრძელვადიანი დამკვირვებლების მიერ ყურადღების გამახვილება ისეთ საკითხებზე როგორებიც არის: პოლიტიკური პარტიების კამპანია, მისი ფორმა და შინაარსი, მედია-მონიტორინგი, მედიის მიერ პოლიტიკური პარტიებისთვის დათმობილი საეთერო დრო, პოლიტიკური რეკლამის

საეთერო ბადეში განთავსება, სოციალური ქსელების მონიტორინგი. ასევე მნიშვნელოვანია გრემელვადიანი დაკვირვების ფარგლებში ყურადღება გამახვილდეს საარჩევნო პროცესში ჩართული სუბიექტების თუ პირების მიმართ ძალადობის და თავდასხმის ფაქტებზე. გრემელვადიანი დამკვირვებლების მიერ უნდა მოხდეს თითოეული ფაქტის აღრიცხვა და შემდგომში სამართლებრივ რეაგირება.

პოლიტიკური პარტიების კამპანიები განსხვავებულია მათი ფორმის და შინაარსის მიხედვით. სადამკვირვებლო მისია, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდს აქტიურად აკვირდება და სწავლობს, მნიშვნელოვანია ანალიზი გაუკეთოს პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო კამპანიას, მის შინაარსს და იმ პროპაგანდას, რომელსაც იყენებენ პოლიტიკური პარტიები ამომრჩევლებთან ურთიერთობის დროს.

სადამკვირვებლო მისიის ორგანიზება

პოლიტიკური სუბიექტის წარმომადგენლებისა მსგავსად, წინასაარჩევნო პერიოდსა და კენჭისყრის დღის დაკვირვების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, ნეიტრალური, მიუკერძოებელი სადამკვირვებლო მისიები. სადამკვირვებლო მისიის ორგანიზება არის რთული, როგორც ადმინისტრაციული, ფინანსური და ადამიანური რესურსის, ასევე ლოჯისტიკის მიმართულებით.

სადამკვირვებლო მისიის ორგანიზება შესაძლებელია ერთი ორგანიზაციის მიერ დამოუკიდებლად და ასევე ორგანიზაციების კოალიციური თანამშრომლობის ფარგლებში. კოალიციური სადამკვირვებლო მისიები, როგორც წესი ეფუძნებიან თანასწორობის და გადაწყვეტილების მიღების დეცენტრალიზებულ მოდელს, რაც მისიას უფრო მეტად მოქნილს და ეფექტიანს ხდის.

პირველ რიგში უნდა ჩამოყალიბდეს სადამკვირვებლო მისიის მმართველი რგოლი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მისიის ორგანიზებასა და მართვაზე. მმართველი რგოლის მიერ სწრაფი გადაწყვეტილებების მიღება და კოორდინირებული მუშაობა სხვა მმართველ რგოლებთან არის გადამწყვეტი მნიშვნელობის სადამკვირვებლო მისიის ეფექტურობისთვის.

იმისთვის, რომ სადამკვირვებლო მისიამ შეძლოს დასახული მიზნის/მიზნების მიღწევა მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს სადამკვირვებლო მისიის სამოქმედო გეგმა და სტრატეგია, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი მიზნები, ამოცანები, და განხორციელების გზები.

სადამკვირვებლო მისიის ორგანიზების პროცესში ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს მისიის მიერ განსაზღვრული ადამიანური რესურსის მობილიზება და შემდგომში დამკვირვებლების გადამზადება, რათა გრემელვადიანმა და მოკლევადიანმა დამკვირვებლებმა შეძლონ სადამკვირვებლო მისიის მიერ შემუშავებული მიზნების მიღწევა.

დამკვირვებლების მოზიდვისთვის აუცილებელია სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა აწარმოონ ინფორმირების კამპანია, რათა მოაბილიზონ დამკვირვებლების ის რაოდენობა, რომელიც განსაზღვრული აქვს დასახული მიზნების მისაღწევად. საინფორმაციო კამპანია შესაძლებელია განხორციელდეს რამდენიმე მიმართულებით და გამოყენებული აქტივობები შესაბამისობაში უნდა იყოს მისიის მიზნებთან.

მნიშვნელოვანია, დამკვირვებლების ფინანსური უზრუნველყოფა, რომელიც შესაძლოა არ გულისხმობდეს ხელფასს გრძელვადიანი ან მოკლევადიანი დაკვირვებისთვის, თუმცა გადაადგილების და დამკვირვებლის უფლებამოსილების ეფექტურად განხორციელებისთვის აუცილებელია გარკვეული ფინანსური რესურსის მობილიზება სადამკვირვებლო ორგანიზაციის მიერ, რათა შესაძლებელი იყოს სტრატეგიის დოკუმენტით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება და შედეგების მიღწევა.

მოკლევადიანი დამკვირვებლების საუბნო საარჩევნო კომისიებში განაწილება ხდება წარმდგენი სადამკვირვებლო ორგანიზაციის მიერ. მოკლევადიანი დამკვირვებელი როგორც წესი კენჭისყრის დღის პროცედურებს აკვირდება ერთ კონკრეტულ უბანზე, უბნის გახსნიდან ხმის დათვლის პროცედურის ჩათვლით. აქვე აღსანიშნავანია, რომ სადამკვირვებლო მისიების მიზნებიდან გამომდინარე შესაძლებელია კენჭისყრის დღეს სადამკვირვებლო მისიები თავიანთი მიზნებიდან გამომდინარე დააკვირდნენ მხოლოდ კონკრეტულ პროცედურებს და არა ყველას, რაც საარჩევნო კოდექსით არის გათვალისწინებული.

მოკლევადიანი დამკვირვებლების დახმარების მიზნით მნიშვნელოვანია სადამკვირვებლო მისიამ უზრუნველყოს მობილური ჯგუფის შექმნა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიაში მყოფ დამკვირვებელს აღმოუჩენს დახმარებას. სხვა ფაქტორებთან ერთად დახმარება შესაძლებელია გულისხმობდეს დამკვირვებლის წამოყვანას კონკრეტული საარჩევნო უბნიდან მისი უსაფრთხოების დაცვის გამო.

სადამკვირვებლო მისიის ეფექტურად ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია ისეთი სტრუქტურული ერთეულების შექმნა, როგორცაა ქოლ-ცენტრი და იურისტების ჯგუფი. ორივე სტრუქტურული ერთეულის გამართულად მუშაობა ხელს შეუწყობს გრძელვადიანი დაკვირვების ნაწილში წინასაარჩევნო პერიოდში მომხდარი ფაქტების შესახებ ინფორმაციის მიღებას ცენტრალურ ოფისში და მათ აღრიცხვას, ხოლო იურისტების მიერ შესაბამისი სამართლებრივი ქმედებების განხორციელებას. კენჭისყრის დღის დაკვირვების დროს ასევე მნიშვნელოვანია ორივე სტრუქტურული ერთეულის არსებობა სადამკვირვებლო მისიისთვის, რათა მოკლევადიანი დამკვირვებლის მიერ საჭიროების შემთხვევაში მოხდეს ცენტრალურ ოფისთან დაკავშირება და ინფორმაციის მიწოდება. კენჭისყრის დღეს იურისტების ჯგუფის ეფექტური მუშაობა ხელს უწყობს საუბნო საარჩევნო კომისიებში დამკვირვებლების მიერ გამოვლენილი დარღვევების შესახებ ფორმალურად და შინაარსობრივად სწორად შედგენილი საჩივრების დაწერას კონკრეტული პროცედურული დარღვევების შესახებ.

შესაძლებელია სადამკვირვებლო მისია კენჭისყრის დღეს წარმოდგენილი იყოს რაიმე სახის განმასხვავებელი აღჭურვილი. დამკვირვებლის აღჭურვა რამდენიმე აუცილებელს პუნქტს მოიცავს. ეს არის: 1. განმასხვავებელი ეკიპირება (ქილეტი ან სხვა). 2. ფოვერ-ბანკი, რათა დღის განმავლობაში მუდმივად ჰქონდეს მობილური ტელეფონის გამოყენების შესაძლებლობა. 3. ინტერნეტით უზრუნველყოფა, რათა დამკვირვებელმა შეძლოს საარჩევნო უბანზე არსებული დარღვევების შესახებ მოპოვებული ფოტო-ვიდეო და სხვა მტკიცებულებების დროული გაგზვნა ცენტრალური ოფისისთვის. 4. საჩივრების ფორმები, რომლებიც დამკვირვებელს საჭიროების შემთხვევაში მისცემს შესაძლებლობას, რომ კომისიისგან დამოუკიდებლად

დაწეროს საჩივარი დარღვევასთან დაკავშირებით და საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით წარუდგინოს ის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და კომისიის მდივანს.

სადამკვირვებლო მისიის სტრატეგიის დოკუმენტი შესაძლებელია ითვალისწინებდეს დამკვირვებლებისთვის სპეციალური ელექტრონული პლატფორმის შექმნას, რათა ეფექტურად მოხდეს კენჭისყრის დღეს და წინასაარჩევნო პერიოდში არსებული დარღვევების იდენტიფიცირება, აღრიცხვა და კატეგორიზება.

კენჭისყრის დღეს სადამკვირვებლო ორგანიზაციის მიერ ამომრჩევლებისთვის გადამოწმებული და სანდო ფაქტების მიწოდება მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს. დამკვირვებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე სადამკვირვებლო მისიამ დღის განმავლობაში მედიის სხვადასხვა ფორმის გამოყენებით საზოგადოებას უნდა მიაწოდოს ინფორმაცია კენჭისყრის პროცესის მიმდინარეობის შესახებ.

კენჭისყრის პროცესის დასრულების, ხმების დათვლის და შემაჯამებელი ოქმის შედგენის შემდეგ, სადამკვირვებლო მისიის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს თითოეული დამკვირვებლის უსაფრთხოდ დაბრუნება საუბნო საარჩევნო კომისიიდან. მიუხედავად იმისა, რომ დამკვირვებელი არის საქართველოს სრულწლოვანი მოქალაქე, სადამკვირვებლო მისიამ უნდა უზრუნველყოს დამკვირვებლების უსაფრთხოება კენჭისყრის დაწყებიდან საარჩევნო უბნის დახურვის ჩათვლით.

სადამკვირვებლო მისიის სტრატეგიის გათვალისწინებით, შესაძლებელია მიზნად იყოს დასახული არჩევნების შედეგების შეფასების ანგარიშის მომზადება. სადამკვირვებლო მისიის მიერ არჩევნების შედეგების შეფასების ანგარიში უნდა დაეფუძნოს მოკლევადიანი დამკვირვებლების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. ასევე მისიის მიერ შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციები, რომლებიც შესაძლოა არ წარმოადგენდეს უშუალოდ ამ სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, თუმცა არჩევნების შედეგების შეფასებისთვის იყოს მნიშვნელოვანი საკითხი.

წინასაარჩევნო გარემოს და არჩევნების შედეგების შეფასების ანგარიშები წარმოადგენს მნიშვნელოვან საინფორმაციო დოკუმენტს, რომლებსაც ქმნის სადამკვირვებლო მისია. მხოლოდ ანგარიშების შემუშავება არ არის საკმარისი, სადამკვირვებლო მისიის მიერ ფუნქციების ეფექტურად შესრულებისთვის. აუცილებელია წინასაარჩევნო პერიოდში და კენჭისყრის დღეს ადგილობრივმა სადამკვირვებლო მისიებმა აქტიურად ითანამშრომლონ საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიებთან. პროცედურულ დარღვევებსა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის გაცვლის და მიწოდების მიზნით.

დამკვირვებლის როლი კენჭისყრის დღეს

არჩევნების კენჭისყრის დღე მოიცავს არაერთ პროცედურას, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე არის განსახორციელებელი. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულად დატვირთულები არიან საუბნო საარჩევნო კომისიები. შესაძლოა ითქვას, რომ ერთი დღეში შესასრულებლად საკმაოდ ბევრი პროცედურაა, რაც ამავდროულად გულისხმობს ბევრ ბიუროკრატიულ რგოლს, გადაწყვეტილების მიღების შესაბამისი

რგოლების არსებობას და სხვა. იმისთვის, რომ არჩევნების კენჭისყრის დღე საარჩევნო კანონმდებლობის სრული დაცვით ჩატარდეს, აუცილებელია, რომ სრულად და შესაბამისი თანმიმდევრობის დაცვით იქნას შესრულებული ყველა პროცედურა საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე.

აღსანიშნავია, რომ კენჭისყრის დღის პროცედურების შესრულებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შესაბამისი დონის საარჩევნო კომისიას.

მიუხედავად პროცედურების სიმრავლისა, საუბნო საარჩევნო კომისიას, როგორც წესი არ უჭირს თითოეული პროცედურის ზედმიწევნით შესრულება.

2022 წელს რეფორმებისა და კვლევის ჯგუფმა ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისთვის სამხრეთ კავკასიაში ჩაატარა სოციოლოგიური კვლევა, რომელიც შეეხებოდა 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების პირისპირ გამოკითხვას არჩევნების კენჭისყრის დღის პროცედურების შესახებ. პირისპირ ინტერვიუს გზით საქართველოს მასშტაბით გამოიკითხა 589 რესპონდენტი. კითხვაზე: რამდენად რეალურია კენჭისყრის დღის პროცედურების შესრულება? გამოკითხულთა 55% ამბობს, რომ ყველა მოთხოვნა შესრულებადია; 29% ამბობს, რომ მოთხოვნები ძირითადად შესრულებადია; 7% ამბობს, რომ არის ზოგიერთი შეუსრულებდი მოთხოვნა; 5% ამბობს, რომ ძალიან ბევრია შეუსრულებდი მოთხოვნა.

კვლევის შედეგების მიუხედავად, სადაც რესპონდენტების უმრავლესობას მიაჩნია, რომ კენჭისყრის დღის პროცედურები შესრულებადია, პრაქტიკაში არსებობს არაერთი შემთხვევა, როდესაც საუბნო საარჩევნო კომისიებში არ სრულდება საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული კენჭისყრის დღის პროცედურები კოდექსის მოთხოვნების სრული დაცვით.

სწორედ, საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრის დღის პროცედურების ზედმიწევნით და საარჩევნო კოდექსის დაცვით შესრულების მონიტორინგის მიზნით იქმნება სადამკვირვებლო მისიები. სადამკვირვებლო მისია არის არჩევნების დღის განუყოფელი ნაწილი და კენჭისყრის დღის პროცედურების მონიტორინგის თუ სხვა ტიპის დარღვევების მონიტორინგის ფუნქცია და უფლებამოსილება გააჩნია.

სადამკვირვებლო მისიას და შესაბამისად თითოეულ დამკვირვებელს აქვს პასუხისმგებლობა, რომ იმ კონკრეტულ საარჩევნო უბანზე, რომელზეც ის ახორციელებს დაკვირვებას, კენჭისყრის დღის პროცედურები ჩატარდება საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების სრული დაცვით. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე პროცედურა არ სრულდება ან ადგილი აქვს სხვა ტიპის დარღვევას, დამკვირვებელს საარჩევნო კოდექსით აქვს უფლება, რომ მიუთითოს და მოსთხოვოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს შესაბამისი პრობლემის აღმოფხვრა, ხოლო თუ სიტყვიერ მოთხოვნაზე არ მოახდენს რეაგირებას საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ან კომისია, დამკვირვებელი უფლებამოსილია კონკრეტულ დარღვევაზე დაწეროს საჩივარი.

დამკვირვებელს უფლება აქვს კენჭისყრის დღის პროცედურების მიმდინარეობას დააკვირდეს ნებისმიერი ადგილიდან ისე, რომ ხელი არ შეუშალოს კომისიის მუშაობას. დამკვირვებელს

საარჩევნო უბანზე, მათ შორის ყველა დონის საარჩევნო ადმინისტრაციაში ყოფნის უფლება აქვს.

დამკვირვებელს გააზრებული უნდა ჰქონდეს იმ სადამკვირვებლო მისიის როლი და მნიშვნელობა კენჭისყრის დღის პროცედურების მონიტორინგის დროს, რომელსაც ის წარმოადგენს. შესაბამისად, დამკვირვებელი უნდა იყოს მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობის მქონე პირი, რომელსაც გაცნობიერებული აქვს არჩევნების მნიშვნელობა და როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

დამკვირვებლის ქცევა საარჩევნო უბანზე შესაძლებელია განსხვავდებოდეს სადამკვირვებლო მისიის სტრატეგიის მიხედვით. შესაძლოა დამკვირვებელი მხოლოდ დარღვევების აღრიცხვით იყოს დაკავებული საარჩევნო უბანზე. ამავდროულად დამკვირვებელს აქვს უფლება საჯაროდ მოითხოვს კონკრეტული პრობლემის აღკვეთა დაუყოვნებლივ და დაიცვას ამომრჩევლის ხმა. ხმის დათვლის პროცესში დამკვირვებელს უფლება აქვს იყოს მეთვალყურე და დააკვირდეს ხმის მთვლელების მიერ ხმის დათვლის პროცესის მიმდინარეობას, რამდენად სრულდება ის საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული და დადგენილი წესის მიხედვით. ამ შემთხვევაშიც შესაძლოა განსხვავებული იყოს დამკვირვებლის ქცევა, რომელიც გამომდინარეობს იმ სადამკვირვებლო მისიის მიზნებიდან და სტრატეგიიდან, რომელიც დასახული აქვს კონკრეტული დამკვირვებლის წარმდგენ სადამკვირვებლო ორგანიზაციას. დამკვირვებლის ქცევა, მიუხედავად იმისა, თუ რომელ სადამკვირვებლო მისიას წარმოადგენს უნდა შეესაბამებოდეს საარჩევნო კოდექსით განსაზღვრულ დამკვირვებლის უფლებამოსილებებს.

საარჩევნო დავები და სამართლებრივი რეაგირება

სადამკვირვებლო მისიის მიერ წინასაარჩევნო პერიოდში და კენჭისყრის დღეს არსებული დარღვევების დაფიქსირება, აღრიცხვა და სამართლებრივი რეაგირება არჩევნების შედეგების შეფასების ანაგრიშისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას წარმოადგენს.

ადგილობრივი სადამკვირვებლო მისიების მიერ გამოვლენილი დარღვევების შესახებ ინფორმაციის მიწოდება საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიებისთვის ხელს უწყობს მათ მიერ შემუშავებულ ანგარიშებში ფაქტებზე და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაციის აღწერას, რომელიც არჩევნების შედეგების ლეგიტიმაციის განმსაზღვრელი ფაქტორი შესაძლოა გახდეს.

წინასაარჩევნო პერიოდში და კენჭისყრის დღეს გამოვლენილ დარღვევებზე სადამკვირვებლო მისიას შეუძლია აწარმოოს სამართლებრივი დავები საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე და ასევე სასამართლოში. საარჩევნო დავები სადამკვირვებლო მისიისთვის უნდა წარმოადგენდეს პრიორიტეტულ მიმართულებას. არჩევნების შედეგების შეფასების დროს კონტექსტის სრული ანალიზისთვის საჭიროა დარღვევების სიხშირისა და შინაარსის ანალიზი, რადგან თითოეული მათგანი გავლენას ახდენს არჩევნების საბოლოო შედეგზე.

მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო დავებს ახასიათებს ეფექტურობის პრობლემა, რაც გამოწვეულია საარჩევნო ადმინისტრაციის დამოკიდებულებით საარჩევნო დავების მიმართ და სასამართლოს დამოუკიდებლობის არარსებობით, არჩევნების შედეგების

ლეგიტიმაციისთვის არსებითად მნიშვნელოვანია დარღვევების შესახებ ინფორმაციის მიწოდება მოხდეს საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და პარტნიორი სახელმწიფოებისთვის.

კენჭისყრის დღის პროცედურები

2024 წლის საპარლამენტო არჩევნები ტარდება სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემით. ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვამ კენჭისყრის დღის პროცედურებში გამოიწვია გარკვეული პროცედურების სრულად ამოღება და ამავედროულად ტექნოლოგიების გამოყენების მიხედვით ახალი პროცედურების დანერგვა.

თითოეული პროცედურის ცვლილება გავლენას ახდენს კენჭისყრის დღეზე და იწვევს საარჩევნო ადმინისტრაციის წევრების (ცესკო; ოლქი; უბანი), სადამკვირვებლო მისიების და ამომრჩევლების ქცევის ცვლილებას.

2024 წლის არჩევნებზე საარჩევნო კოდექსის მიხედვით ტრადიციული მოდელიდან დარჩენილია მარკირების პროცედურა უცვლელი ფორმით. საარჩევნო რეფორმის მიხედვით, რომლის ყველაზე დიდი პილოტი სწორედ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე იქნება, შემოღებულია ახალი პროცედურები, რომლებიც ერთის მხრივ დაკავშირებულია ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვასთან და მეორეს მხრივ ეხება იმ უბნებს, რომლებშიც ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე ტარდება არჩევნები.

საარჩევნო კოდექსის მიხედვით, კენჭისყრის დაწყების ორგანიზებისთვის საარჩევნო უბანი იხსნება კენჭისყრის დღეს 06:45 საათზე. კენჭისყრის პროცესი კი იწყება 08:00 საათზე. 1 საათი და 15 წუთი აქვს საუბნო საარჩევნო კომისიას იმისთვის, რომ მოაწყოს საარჩევნო უბანი იმგვარად, რომ 08:00 საათზე გაიხსნას საარჩევნო უბანი, რათა ამომრჩეველმა დაბრკოლებების გარეშე შეძლოს ხმის მიცემა.

06:45-დან საარჩევნო უბნის გახსნამდე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცედურა ეხება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს შორის წილისყრის პროცედურის ჩატარებას კენჭისყრის დღეს ფუნქციების შესრულების მიზნით. აღსანიშნავია, რომ 2024 წლის 16 აგვისტოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების წილისყრა ფუნქციების განაწილების მიზნით, კენჭისყრის დღემდე 7 დღით ადრე ჩატარდება. ცესკოს დადგენილება გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოში და სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩევეების მოთხოვნა აღნიშნული დადგენილების ხსენებული პროცედურის გაუქმების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის წინასწარ იყო ცნობილი საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის და მდივნის ვინაობები. ასევე ცნობილი იყო რეგისტრატორი წევრები, რომლებიც არ იყვნენ წარდგენილნი პოლიტიკური პარტიების მიერ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ წილისყრის პროცედურის კენჭისყრის დღის ნაცვლად 7 დღით ადრე ჩატარება ეწინააღმდეგება საარჩევნო კოდექსს, არჩევნების ძირითად პრინციპებს და ამავედროულად ხელს უშლის სადამკვირვებლო მისიების საქმიანობას ეფექტურად განახორციელონ მონიტორინგი იმ

პროცედურებზე, რომლებიც მისი შინაარსით და ფორმით გავლენას ახდენს კენჭისყრის პროცესზე.

უბნები, სადაც ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ტარდება არჩევნები, ამომრჩეველს საარჩევნო უბანზე მისვლისას პირველ რიგში ხვდება ნაკადის მომწესრიგებელი, რომელიც უცვლელი ფორმით ამოწმებს ამომრჩევლის მარკირებას. მარკირების შემოწმების პროცედურის წარმატებით გავლის შემდეგ ამომრჩეველს საარჩევნო უბანზე ხვდება იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის აპარატი, რომელიც საუბნო საარჩევნო კომისიის რეგისტრატორ წევრებს აქვთ მაგიდაზე. ამ შემთხვევაში, იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის აპარატი ასრულებს სამაგიდო სიის ფუნქციას, სადაც ჩატვირთულია კონკრეტული უბნის ამომრჩევლების სრული სია და მონაცემები, რომლებიც საუბნო საარჩევნო კომისიის რეგისტრატორ წევრს აძლევს შესაძლებლობას მოახდინოს ამომრჩევლის იდენტიფიკაცია. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ ამომრჩეველს გვარის მიხედვით არ მოუწევს რეგისტრატორთან მისვლა, რადგან კონკრეტულ უბანზე ყველა იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის აპარატში ჩატვირთულია იმ უბნის ამომრჩევლების სრული სია. შესაბამისად, ახალი პროცედურის მიხედვით, ამომრჩეველს შეუძლია მივიდეს ნებისმიერ თავისუფალ რეგისტრატორთან, რომელთანაც რიგში არაუმეტეს 2 ამომრჩეველი დგას.

იდენტიფიკაციის გავლის შემდეგ იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის აპარატიდან რეგისტრატორი წევრი ბეჭდავს ქვითარს, სადაც მოცემულია ამომრჩევლის პირადი მონაცემები. არჩევნებში მონაწილეობის დადასტურების მიზნით, რეგისტრატორის წევრი ამომრჩეველს აწერინებს ხელს მოცემულ ქვითარზე. ხელმოწერის შემდეგ რეგისტრატორი წევრი გადაკეცავს ამომრჩევლის მიერ ხელმოწერილ ქვითარს და რეგისტრატორის მაგიდაზე არსებულ გაუმჭვირვალე და დალუქულ ყუთში ათავსებს.

გაუმჭვირვალე დალუქული ყუთის გახსნა და მასში არსებული ამომრჩევლების მიერ ხელმოწერილი ქვითრების გადათვლა საუბნო საარჩევნო კომისიას შეუძლია მხოლოდ ერთხელ. იმ შემთხვევაში, როდესაც საარჩევნო უბანში კენჭისყრის პროცესი გრძელდება ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატების გარეშე და ვერც ერთი ვერიფიკაციის აპარატიდან ვერ ხერხდება ანგარიშის ამობეჭდვა კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობის შესახებ, საუბნო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია ერთჯერადად გახსნას ამომრჩევლების ვერიფიკაციის დამადასტურებელი ქვითრებისთვის განკუთვნილი გაუმჭვირვალე დალუქული ყუთები, მათში არსებული ქვითრების რაოდენობის გადათვლის მიზნით. კომისიის მდივანი ვალდებულია, რომ ჩაინიშნოს აღნიშნული მონაცემი. ამის შემდეგ, ქვითრები ხელახლა უნდა მოთავსდეს გაუმჭვირვალე ყუთში, რომელიც თავიდან უნდა დაილუქოს.

იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის გავლისთვის ამომრჩეველს თან უნდა ჰქონდეს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი. პირადობის მოწმობის შემთხვევაში რეგისტრატორი წევრი ვერიფიკაციის აპარატზე პირადობის მოწმობის სპეციალური წამკითხველი ველის გამოყენებით ახორციელებს ამომრჩევლის იდენტიფიკაციის პროცესს. იმ შემთხვევაში თუ ამომრჩეველმა რეგისტრატორს წარუდგინა

საქართველოს მოქალაქის პასპორტი, რეგისტრატორი ვერიფიკაციის აპარატში შეიყვანს ამომრჩევლის პირად ნომერს, რითაც მოახდენს ამომრჩევლის იდენტიფიცირებას.

ზემოთ აღნიშნული პროცედურის დასრულების შემდეგ რეგისტრატორი წევრი გადასცემს ამომრჩეველს საარჩევნო ბიულეტენს. საარჩევნო კოდექსის მიხედვით, რეგისტრატორი წევრი ამომრჩეველს უხსნის ბიულეტენის გამოყენების წესს და ბიულეტენზე არსებულ სპეციალურ ადგილას აფერადებინებს საცდელ წრეს. საცდელი წრის გაფერადება ემსახურება ამომრჩევლის შეცვლილი ქცევის გავარჯიშებას იქამდე, სანამ ამომრჩეველი მართლ აღმოჩნდება ხმის მიცემის კაბინაში დამოუკიდებელი და თავისუფალი არჩევანის გასაკეთებლად.

რეგისტრატორი წევრის მიერ ამომრჩევლისთვის ბიულეტენის გადაცემამდე ხდება ამომრჩევლის მარკირების პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ ამომრჩეველმა ხელმოწერა არ სცადოს იმავე ან სხვა უბანზე დამატებით ხმის მიცემა.

ტრადიციული მოდელით არჩევნების ჩატარებისგან განსხვავებით, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე განსხვავებულია ბიულეტენის ფორმატი. ამ შემთხვევაში კომისიის რეგისტრატორი წევრი ბიულეტენს არ ამოწმებს ბეჭდით და ხელმოწერით.

ამომრჩეველს ბიულეტენთან ერთად გადაეცემა ჩარჩო-კონვერტი, რომელიც არის მრავალჯერადი გამოყენების და ხელს უწყობს ამომრჩევლის მიერ გამოხატული თავისუფალი ნების და არჩევნების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის ხმის ფარულობის დაცვას.

ამომრჩეველი ხმის მიცემის კაბინაში არის მართლ და მესამე პირების მიერ მისი არჩევანის დანახვის ანდა კონტროლის შესაძლებლობა პრაქტიკულად გამორიცხებულია. იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამომრჩეველმა არ გადაუღოს ფოტო ან ვიდეო საარჩევნო ბიულეტენს, ხმის მიცემის კაბინა არის ნახევრად ღია მდგომარეობაში, მაგრამ არა ისე, რომ შესაძლებელი იყოს ამომრჩევლის მიერ გამოხატული პოლიტიკური ნების დანახვა ანდა კონტროლი.

ხმის მიცემის კაბინაში სასურველი პოლიტიკური პარტიის გასწვრივ არსებული წრის გაფერადების შემდეგ, ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენს ათავსებს სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში და ამოატრიალებს მას ისე, რომ არ ჩანდეს მის მიერ გაფერადებული პოლიტიკური სუბიექტი. ჩარჩო-კონვერტში მოთავსებულ ბიულეტენთან ერთად ამომრჩეველი მიდის ხმის მიცემის ელექტრონულ აპარატთან, სადაც ათავსებს ბიულეტენს. ამ შემთხვევაში ამომრჩეველს რჩება ჩარჩო-კონვერტი ხელში, ხოლო ბიულეტენს იღებს აპარატი, რომელიც რეალურ დროში ითვლის ყუთში მოთავსებული ბიულეტენების რაოდენობას. მას შემდეგ, რაც ხმის მიცემის ელექტრონული აპარატი მასზე მოცემულ ეკრანზე დააწერს, რომ ამომრჩევლის ხმა მიღებულია, ამომრჩეველმა უნდა დატოვოს საარჩევნო უბანი.

შეცვლილი პროცედურების მიხედვით, ამომრჩეველმა არ უნდა გადაკეცოს ბიულეტენი ხმის მიცემის კაბინაში არჩევანის გაკეთების შემდეგ. იმ შემთხვევაში თუ ამომრჩეველი გადაკეცავს ბიულეტენს, როგორც ამას ტრადიციული მოდელით არჩევნების ჩატარების დროს აკეთებდა, ხმის მთვლელი აპარატი არ მიიღებს ბიულეტენს. ამომრჩეველმა უნდა მიმართოს საუბნო საარჩევნო კომისიას ბიულეტენის შეცვლის მოთხოვნით. ამავდროულად, თუ ამომრჩეველმა

ზედიზედ ორჯერ ვერ მოათავსა ბიულეტენი ხმის მთვლელ აპარატში, აუცილებელია მისი გამოცვლა ახალი ბიულეტენით. ბიულეტენის შეცვლის მოთხოვნით ამომრჩეველმა უნდა მიმართოს საუბნო საარჩევნო კომისიას. ამომრჩევლისთვის ბიულეტენის შეცვლა უნდა მოხდეს იმგვარად, რომ არ მოხდეს მის მიერ გამოხატული არჩევანის დანახვის შესაძლებლობა მესამე პირებისთვის.

იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკური ხარვეზის გამო შეფერხდა ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატით/ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატით კენჭისყრის პროცესი, საუბნო საარჩევნო კომისია იღებს გადაწყვეტილებას კენჭისყრის პროცესის დროებით შეჩერების შესახებ. ინფორმაცია დაუყოვნებლივ ეცნობოს ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას.

კენჭისყრის პროცესის დაწყებად საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აპარატებში სპეციალური კოდის ჩაწერით ააქტიურებს ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატებს და ბეჭდავს საწყის ანგარიშებს, ასევე ნულოვან ამონაწერს, რომელიც ადასტურებს, რომ კენჭისყრის დაწყებამდე ხმის მთვლელ აპარატში არ არის მოთავსებული ბიულეტენები.

იმ შემთხვევაში, თუ კენჭისყრის პროცესი მიმდინარეობდა ამომრჩეველთა ვერიფიკაციისა და ხმის დათვლის ერთზე მეტი ელექტრონული ტექნოლოგიის გამოყენებით და ტექნიკური ხარვეზის გამო ფუნქციონირება შეწყვიტა ნაწილმა, ასეთ შემთხვევაში კენჭისყრის პროცესი გაგრძელდება დანარჩენი ფუნქციონირებადი ელექტრონული ტექნოლოგიის გამოყენებით.

თუ შეუძლებელია კენჭისყრის პროცესის გაგრძელება ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატების ანდა ხმის დათვლის ელექტრონული აპარატების მწყობრიდან გამოსვლის გამო, შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისია ადგენს აქტს შესაბამისი აპარატების გამოყენების გარეშე კენჭისყრის გაგრძელების თაობაზე. ამ შემთხვევაში კონკრეტულ საარჩევნო უბანზე კენჭისყრის პროცესი გაგრძელდება ტრადიციული მეთოდით, სამაგიდო სიების გამოყენებით და შესაბამისად გავრცელდება იმ უბნების პროცედურები, სადაც არ ტარდება არჩევნების ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით.

უბნებზე, სადაც ელექტრონული ტექნოლოგიების გარეშე ტარდება არჩევნები, უცვლელი რჩება ყველა ის პროცედურა, რომელიც განსაზღვრული იყო ტრადიციული წესით არჩევნების ჩატარებისთვის. ხმის დათვლის პროცესის დასრულების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პლანშეტური კომპიუტერის გამოყენებით, გადაიღებს და ცესკოში გადააგზავნის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლს. შესაბამისად, ტრადიციულ მოდელში არსებული წესი, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილი შემაჯამებელი ოქმი ფიზიკურად უნდა მიეტანა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში, რომელიც ცესკოს აწვდიდა ყველა საარჩევნო უბნის შემაჯამებელი ოქმებს ელექტრონულად, ახალი პროცედურის მიხედვით არის შეცვლილი და მას საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აგზავნის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

კენჭისყრის დღე და არჩევნების შედეგების შეფასება

კენჭისყრის დღე არის მოქალაქეების მიერ ქვეყნის მართვაში მონაწილეობის გამოვლენის საშუალება. კენჭისყრის პროცესმა და მისმა შედეგებმა უნდა უზრუნველყოს მოქალაქეების მიერ გამოვლენილი პოლიტიკური ნების რეალური ასახვა არჩევნების შედეგებში და შესაბამისად ხელისუფლებისთვის ლეგიტიმაციის მინიჭება.

არჩევნები არ შემოიფარგლება მხოლოდ კენჭისყრის დღით. არჩევნები მოიცავს წინასაარჩევნო პერიოდს, კენჭისყრის დღეს და კენჭისყრის დღის შემდგომ პერიოდს, როდესაც ხდება შედეგების გამოცხადება, საჩივრების განხილვა და სხვა მნიშვნელოვანი პროცედურები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს არჩევნების საბოლოო შედეგებზე.

აღსანიშნავია, რომ კენჭისყრის დღის პროცედურებში ტექნოლოგიების დანერგვამ მეტ-ნაკლებად შეამცირა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების სუბიექტური ჩარევის შესაძლებლობები, თუმცა საარჩევნო კოდექსში მაინც არის გარკვეული პროცედურები, რომლებიც ჯერ კიდევ ტოვებს შესაძლებლობას, რომ საუბნო საარჩევნო კომისიამ მიიღოს სუბიექტური გადაწყვეტილებები სხვადასხვა საკითხებზე.

არჩევნების საბოლოო შეფასების ანგარიში მოიცავს არჩევნებთან დაკავშირებულ ყველა ეტაპს (წინასაარჩევნო პერიოდი; კენჭისყრის დღე; შედეგების გამოცხადების შემდეგი პერიოდი). თითოეულ ეტაპს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა არჩევნების მომზადებასა და განხორციელებაზე. ასევე წინასაარჩევნო პერიოდი და კენჭისყრის დღე განსაზღვრავს არჩევნების შედეგებს. შესაბამისად, თავისუფალი და თანასწორი საარჩევნო გარემო ხელს უწყობს ამომრჩევლის მიერ დამოუკიდებელი არჩევანის გაკეთებას, რომელიც თითოეული პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებულ ხმებში უნდა გამოიხატოს.

გამოთქმული შეხედულებები, მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის მხოლოდ ავტორს და არ შეიძლება ასახავდეს ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის თავისუფლებისთვის სამხრეთ კავკასიის ოფისის ოფიციალურ შეხედულებებს ან პოზიციებს. ნაშრომი წარმოადგენს ავტორის დამოუკიდებელ ანალიზს და შეხედულებებს, რომლებიც შეიძლება არ ემთხვეოდეს ფონდის პოზიციებს განხილულ საკითხებზე.

ლიბერალიზმის პრინციპებზე დაყრდნობით, ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისთვის გთავაზობთ სამოქალაქო განათლებას გერმანიასა და მსოფლიოს 60-ზე მეტ ქვეყანაში. სამხრეთ კავკასიის რეგიონში ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ სამოქალაქო საზოგადოების, აკადემიის, მედიისა და პოლიტიკის წარმომადგენლებთან. ჩვენ ერთად ხელს ვუწყობთ დემოკრატიულ განვითარებას, ვიბრძვით დეზინფორმაციისა და ჰიბრიდული ომის წინააღმდეგ, მხარს ვუჭერთ ადამიანის უფლებებსა და კანონის უზენაესობას და ხელს ვუწყობთ ინოვაციურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც დაფუძნებულია სოციალური საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე. გარდა ამისა, ჩვენ ხელს ვუწყობთ დიალოგს სამხრეთ კავკასიაში.

ამ პუბლიკაციაში მოწოდებული QR კოდის სკანირებით, თქვენ გადახვალთ ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის სამხრეთ კავკასიის ვებ-გვერდზე. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ეს ვებ-გვერდი არ არის დაკავშირებული პუბლიკაციის ავტორთან ან გამომცემელთან და პუბლიკაციაში გამოთქმული აზრები შეიძლება არ ემთხვეოდეს ფონდის პოზიციას, ასევე ვებ-გვერდის შინაარსი არ არის მოწონებული ან დამოწმებული პუბლიკაციის ავტორების მიერ. ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის ვებ-გვერდი მითითებულია მკითხველთათვის, რომლებიც შეიძლება დაინტერესებულნი იყვნენ ფონდის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღებით.



Guidelines for Organizing a Domestic Observation Mission and Assessing Election Results

The Reforms and Research Group

Tbilisi

2024

Authors:

Ketevan Sikharulidze

Gulad Kantaria

"The preparation of the 'Guidelines for Organizing a Domestic Observation Mission and Assessing Election Results' was made possible through the financial support of the Friedrich Naumann Foundation for Freedom, South Caucasus. The views expressed in this document reflect the position of the Reform and Research Group."

Contents

Context of Electoral Reform.....	25
General Principles of the Observation Mission	26
Registration of the Observation Mission and Legal Issues	29
Observation of the Election Process	31
Election Campaign and the Role of the Observation Mission	32
Organising the Observation Mission.....	33
Role of the Observer on Election Day	35
Election Disputes and Legal Response	37
Voting Day Procedures.....	37
Voting Day and Assessment of Election Results	41

Context of Electoral Reform

